საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/30 **24/11/2023**

რეცენზია ონლაინ სასწავლო მოდულზე „ბრონქული ასთმის მართვა პირველად ჯანდაცვაში“

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს რეცენზირებისთვის წარედგინა ონლაინ სასწავლო მოდული „ბრონქული ასთმის მართვა პირველად ჯანდაცვაში“.

წარმოდგენილი ონლაინ მოდული შემუშავებულია ასთმის განახლებული პროტოკოლის საფუძველზე, პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) მიერ, ჩეხეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

ასთმასთან დაკავშირებული ავადობისა და მისი არაკორექტულად მკურნალობის პრობლემის გათვალისწინებით, პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაავადების მართვის მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების არსებობა, რომელიც გააუმჯობესებს ასთმის კონტროლს და მნიშვნელოვნად შემაცირებს დაავადებასთან დაკავშირებულ ტვირთს.

წარმოდგენილი ონლაინ კურსი მოიცავს ყველა საკითხს, რომელიც ეხება ასთმის გამოვლენას, დიაგნოსტიკას, შეფასებასა და მართვას. მასში, ასევე, განხილულია გამწვავების მართვის პრინციპები პირველად ჯანდაცვაში, ჰოსპიტალიზაციისა და რეფერალის კრიტერიუმები, ასევე, პაციენტის მართვა ასთმის გამო, ჰოსპიტალიზაციის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ონლაინ მოდული ხელს შეუწყობს განახლებული პროტოკოლის რეკომენდაციების პრაქტიკულ იმპლემენტაციას და პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალების კომპეტენციების გაუმჯობესებას ასთმის მართვის საკითხებში.

ონლაინ მოდული აწყობილია ლოგიკურად, კარგად არის ჩამოყალიბებული ასთმის კონტროლის შეფასების მნიშვნელობა ორი მიმართულებით: სიმპტომების კონტროლი და მომავალი გამწვავებების რისკის განსაზღვრა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მკურნალობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა საინჰალაციო ტექნიკა და მკურნალობაზე დამყოლობა, კომორბიდული მდგომარეობები და პაციენტის გათვიცნობიერება მისი, ასთმის მართვის სამიზნეების შესახებ.
სასწავლო მოდულის ონლაინ ფორმატი საშუალებას აძლევს ასთმის მართვაში ჩართულ პროფესიონალებს, უფრო მარტივად ჩაერთოს სწავლებაში და იძლევა დიდი რაოდენობით პროფესიონალების მოცვის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ონლაინ სასწავლო მოდული ხელს შეუწყობს პირველადი ჯანდაცვის ქსელში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს ასთმის გამოვლენის, დიაგნოსტიკისა და სწორი მკურნალობის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ, შეამცირებს ასთმასთან დაკავშირებულ ავადობას, ჰოსპიტალიზაციას, სიკვდილობას და მძიმე ასთმის მართვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ წარმოდგენილი ონლაინ სასწავლო მოდულის დამტკიცებას უპგ საბჭოზე.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.11.24 12:01:44